ოქმი:**ო37. 3726307001**

თარიღი:**03/11/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ

დავით კიკვაძის ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი, 30 ოქტომბერი

დაბა ნასაკირალი

12:00 -13:00-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს. აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ დავით კიკვაძე არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მაჟორიტარი წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა დ. კიკვაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა მაჟორიტარული ოლქის ტერიტორიაზე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ისაუბრა გამოწვევებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე. აღნიშნა, რომ დაბაში კვლავ პრობლემებია შიდა გზების მოხრეშვის, სანიაღვრე არხების მოწყობა-გაწმენდის საქმეში, გადუხურავია სტიქიით დაზიანებული სახლების სახურავები, აუცილებელია დაბის 21 და 24 -ქუჩების სრული რეაბილიტაცია, დაბის ორ უბანში მინი

სტადიონების აშენება, ადმინისტრაციის შენობის პრობლემის გადაწყვეტა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, დ.კიკვაძე არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის. დ. დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

